

განათლების ხარისხის განვითარების შიდა მექანიზმები

სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრს“ განათლების ხარისხის განვითარების შესახებ საქართველოს კანონის თანახმად შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად. განათლების ხარისხის განვითარების ხელშეწყობა ხდება შიდა და გარე მექანიზმების საშუალებით. შიდა მექანიზმის სისტემა ძირითადად დაფუძნებულია პროფესიულ სტუდენტთა, სასწავლო პროცესის განმახორციელებელი პერსონალისა და დამსაქმებლის გამოკითხვის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე.

სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“ ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით მუშაობს საერთო PDCA პრინციპით: P – plan - დაგეგმვა; D – do - განხორციელება; C - check - შემოწმება; A – act - რეაგირება.

1. დაგეგმვა - დასახული ამოცანების შესასრულებლად უნდა დაიგეგმოს ჩასატარებელი სამუშაო და შემუშავებულ იქნეს სამუშაო გეგმა, რომელიც მოიცავს შესასრულებელ სამუშაოს, შემოწმების ფორმებს, კრიტერიუმებს და მონიტორინგის ვადებს.

N	განსახორციელებელი სამუშაო	შემოწმების პერიოდი
1.	<p>სასწავლო ცხრილის შემოწმება</p> <p>1. ცხრილის არარსებობის შემთხვევაში ეცნობოს სასწავლო პროცესის უზრუნველყოფის სამსახურს; სასწავლო ცხრილი სტუდენტებისთვის და ყველა დაინტერესებული პირისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს სასწავლო სემესტრის დაწყებამდე არა უგვიანეს ერთი კვირისა.</p>	სასწავლო პროცესის დაწყებამდე
2.	<p>სასწავლო ცხრილის შესაბამისობის დადგენა საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო გეგმებთან</p> <p>1. არსებული უზუსტობის შესახებ ეცნობოს საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელს და შესაბამის სამსახურს;</p> <p>2. შემოწმდეს სასწავლო ცხრილის თანხვედრა საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმასთან.</p>	სასწავლო პროცესის დაწყებამდე
3.	<p>მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (მათ შორის აუდიტორიების და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზის, ინვენტარის და სასწავლო პროცესისთვის აუცილებელი პირობების, კომპიუტერული ტექნიკის - კომპიუტერული პროგრამების და ინტერნეტის), მდგომარეობის შემოწმება და საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული მატერიალურ-ტექნიკურ ბაზასთან შესაბამისობის დადგენა.</p> <p>1. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმართაობის ან სასწავლო პროცესისთვის ადეკვატური გარემოს არარსებობის შემთხვევაში ეცნობოს ადმინისტრაციას და დირექტორს მდგომარეობის გამოსწორების მიზნით;</p> <p>2. არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებულ მატერიალურ რესურსებთან შეუსაბამობის შემთხვევაში ეცნობოს ადმინისტრაციას და დირექტორს შესაბამისი ხარვეზის გამოსწორების მიზნით.</p>	წლის განმავლობაში
4.	<p>მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ყველა სასწავლო მოდულის კალენდარული გეგმების და საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ყველა სასწავლო კურსის სილაბუსის არსებობის შემოწმება.</p>	სასწავლო პროცესის დაწყებამდე
5.	<p>საბიბლიოთეკო წიგნადი ფონდის (სახელმძღვანელოების და სასწავლო მასალის ფიზიკური მდგომარეობა, რაოდენობა, სილაბუსებთან შესაბამისობა) შემოწმება.</p> <p>1. დაზიანებული, დაკარგული და გამოუსადეგარი წიგნების ჩამოწერის და ახალი სახელმძღვანელოების შეძენის აუცილებლობის შესახებ ეცნობოს დირექტორს.</p>	წლის განმავლობაში

6.	ვებ-გვერდის მუშაობის და ინფორმაციის განახლების შემოწმება	წლის განმავლობაში
	1. ვებ-გვერდზე მოძველებული ან არასრული ინფორმაციის შემთხვევაში გონივრულ ვადებში ხარვეზის გამოსწორების მიზნით ეცნობოს საინფორმაციო სამსახურს და დირექტორს.	
7.	სტუდენტთა აკადემიური მოსწრების და სტუდენტთა საკონტაქტო მეცადინეობებზე დასწრების მონიტორინგის ფორმების შემუშავება	სასწავლო პროცესის დაწყებისთანავე
8.	სასწავლო პროცესის, საგანმანათლებლო პროგრამის და სასწავლო კურსის ხარისხის მონიტორინგის მიზნით სტუდენტთა, აკადემიური პერსონალის, დამსაქმებლების, მშობლების ანონიმური გამოკითხვის ანკეტების ფორმების შემუშავება	სასწავლო პროცესის განმავლობაში
9.	შეფასების შედეგების ანალიზი	სასწავლო პროცესის განმავლობაში
10.	1. სტუდენტთა, აკადემიური პერსონალის, დამსაქმებლების, მშობლების გამოკითხვის შედეგების ანალიზი;	წლის განმავლობაში
	2. საგანმანათლებლო პროგრამების და სასწავლო კურსების შეფასების შედეგების ანალიზი	
11.	დასკვნითი გამოცდებისა და შედეგების დადასტურების შედეგების ანალიზი	საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ
12.	მონიტორინგის შედეგების საფუძველზე დასკვნის გაკეთება, რეკომენდაციების და სამოქმედო გეგმის შემუშავება და ხარვეზების გამოსწორების მიზნით დირექტორის ინფორმირება	წლის განმავლობაში
13.	ნაკლოვანებების და ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულების და მიღწეული შედეგების მონიტორინგი	წლის განმავლობაში
14.	შიდა მონიტორინგის ჯგუფის მიერ ადმინისტრაციის კონსულტირება და უშუალოდ მოდულური პროგრამის განხორციელების სპეციფიკის გაცნობა.	წლის განმავლობაში
15.	დასწრება და დაკვირვება ლექციების მსვლელობის პროცესში	წლის განმავლობაში
16.	პედაგოგებისა და სტუდენტების კითხვარების ანალიზის საფუძველზე შესაბამისი დასკვნების გაკეთება და ხარვეზების აღმოჩენის შემთხვევაში გამოსწორების გზების დადგენა	სასწავლო წლის დასრულების შემდეგ
17.	სასწავლო წლის შემაჯამებელი ანალიზი, წლიური ანგარიში, SWOT-ანალიზი და შესაბამისი რეკომენდაციები შემუშავება.	სასწავლო წლის დასრულების შემდეგ
18.	მომავალი სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შედგენა	სასწავლო წლის დასრულების შემდეგ

- **განხორციელება** - შემუშავებული გეგმის განხორციელების მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური;
- შეიმუშავებს სტუდენტთა, მშობელთა, დამსაქმებელთა და მასწავლებელთა გამოკითხვის ფორმებს;
- ატარებს სტუდენტთა და მშობელთა გამოკითხვას სასწავლო პროცესისა და საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული სასწავლო კურსების ხარისხის დადგენის მიზნით;
 - შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნების იდენტიფიცირების მიზნით შეიმუშავებს პოტენციური დამსაქმებლებისა და პროფესიული ორგანიზაციების გამოკითხვის ფორმებს, ატარებს შესაბამის გამოკითხვებს და მიღებულ შედეგებს იყენებს პროგრამების შემდგომი დახვეწისა და სრულყოფისათვის;
 - პერმანენტულად ატარებს გამოკვლევას მიმდინარე და სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული სასწავლო პროცესების თანხვედრის დადგენის მიზნით;
 - წლის განმავლობაში ატარებს სასწავლო პროცესის მონიტორინგს;
 - შეიმუშავებს აკადემიური/მოწვეული პერსონალის გამოკითხვის ანკეტებს;
 - ყოველწლიურად ატარებს აკადემიური/მოწვეული პერსონალის გამოკითხვას;
 - გამოკითხვის შედეგად მიღებული ინფორმაციის ანალიზს იყენებს სასწავლო პროცესისა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებების დაგეგმვაში;
 - სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით შეიმუშავებს სილაბუსების შევსების უნიფიცირებულ ინსტრუქციას;

- სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით შეიმუშავებს სილაბუსების შეფასების უნიფიცირებულ ფორმას;
- სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით შეიმუშავებს საგანმანათლებლო პროგრამის შედგენის უნიფიცირებულ ინსტრუქციას და ფორმას;
- შეისწავლის არსებულ მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებს, ამოწმებს სასწავლო პროცესის განხორციელებისთვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური რესურსების არსებობას და მის შესაბამისობას საგანმანათლებლო პროგრამებთან;
- ამოწმებს საბიბლიოთეკო წიგნადი ფონდის და სილაბუსებში სავალდებულო ლიტერატურის შესაბამისობას;
- ამოწმებს კომპიუტერული ტექნიკის მდგომარეობას, სასწავლო პროცესში მის გამოყენებას და პროგრამულ უზრუნველყოფას;
- დირექტორს წარუდგენს გამოკითხვის ანალიზს და სასწავლო კურსებისა და საგანმანათლებლო პროგრამების შემოწმების შედეგებს;
- ამოწმებს სასწავლო პროცესში ჩართული ადმინისტრაციული სტრუქტურების საქმიანობას;
- სტუდენტთა ხელშეწყობის სერვისის უზრუნველყოფასა და ხარისხს ამოწმებს უშუალოდ სტუდენტებთან საუბრის და გამოკითხვის მეშვეობით;
- ამოწმებს საგანმანათლებლო პროგრამების, მოკლევადიანი (ერთწლიანი) და გრძელვადიანი (ექვსწლიანი) სტრატეგიული განვითარების გეგმების, ადმინისტრაციული სტრუქტურული ერთეულების და მათი საქმიანობის შესაბამისობას კოლეჯის მისიასთან და კანონმდებლობით დადგენილ სტანდარტებთან.

▪ **შემოწმება** - შემოწმების/შეფასების პროცესი მოიცავს რამდენიმე ეტაპს: შესამოწმებელი/შესაფასებელი ობიექტის განსაზღვრა; შესამოწმებელი/შესაფასებელი ობიექტის ადეკვატური შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა; შეფასების მეთოდების შერჩევა; შემოწმების/შეფასების შედეგად მიღებული მონაცემების ანალიზი, შესაბამისი დასკვნების გამოტანა, რეკომენდაციების შემუშავება და გასატარებელი ღონისძიებების განსაზღვრა; დასკვნების და რეკომენდაციების წერილობითი ფორმით წარდგენა ან/და ზეპირი პრეზენტაცია.

▪ შემოწმების/შეფასების ობიექტურობისა და ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით ან/და შემოწმების სფეროს სპეციფიკიდან გამომდინარე შესაძლოა შეიქმნას მონიტორინგის ჯგუფი, რომელშიც შევლენ სათანადო კომპეტენციის მქონე თანამშრომლები ან შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მოწვეული პირები. სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით მოწმდება:

- საგანმანათლებლო პროგრამები, საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული სასწავლო კურსები, სწავლის/სწავლების პროცესის მიმდინარეობა და ხარისხი;
- აკადემიური/მოწვეული პერსონალი;
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რომელიც გამოიყენება სასწავლო პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამები, საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული სასწავლო კურსები, სწავლის/სწავლების პროცესის მიმდინარეობა და ხარისხი. საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისას მოწმდება თუ რამდენად შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამა კოლეჯის მისიას, რამდენად შეესაბამება სწავლის შედეგები პროგრამის მიზნებს და კვალიფიკაციით განსაზღვრულ კომპეტენციებს, რამდენად ორიენტირებულია პროგრამა კურსდამთავრებულების შემდგომ დასაქმებაზე, რამდენად უზრუნველყოფს სწავლების ფორმატი და სწავლების მეთოდები დასახული მიზნების მიღწევას. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსის შეფასებისას მოწმდება თუ რამდენად რაციონალურადაა განაწილებული საკონტაქტო და დამოუკიდებელი სამუშაოს საათები სასწავლო კურსის კრედიტების ფარგლებში; ადეკვატურად არის თუ არა შერჩეული სწავლების მეთოდები და ფორმატი; თანხვედრაშია თუ არა სწავლის მიზნები, სასწავლო კურსის შინაარსი და მისაღწევი შედეგები; შესაბამისობაშია თუ არა სასწავლო კურსის შინაარსი, მითითებული სავალდებლო და დამხმარე ლიტერატურა; რამდენად გამჭვირვალეა და მრავალკომპონენტური სტუდენტის მიღწევათა შეფასება; შესაძლებელია სასწავლო კურსის მიზნებისა და სასწავლო კურსის შესწავლის შედეგად შესაბამისი კომპეტენციების მიღწევა მითითებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსების გამოყენებით და სხვა. სწავლის/სწავლების პროცესის მიმდინარეობის და ხარისხის შეფასებისას მოწმდება თუ რამდენად: შეესაბამება თუ არა რეალურად მიმდინარე სასწავლო პროცესი საგანმანათლებლო პროგრამების კურიკულუმით და სასწავლო კურსებით განსაზღვრულ ფორმატს და პირობებს, პასუხისმგებლობით ეკიდება თუ არა აკადემიური/მოწვეული პერსონალი დაკისრებულ ვალდებულებებს, რამდენად უზრუნველყოფს ადმინისტრაცია სტუდენტთა დახმარების სერვისს და ზრუნავს თუ არა სასწავლო პროცესის ხარისხზე და ადეკვატური პირობების შექმნაზე.

მატერიალურ-ტექნიკური რესურსის სასწავლო პროცესში გამოყენების შიდა შემოწმებისას ხდება მისი შედარება კანონმდებლობით დადგენილ სტანდარტებთან და საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებულ აუცილებელ რესურსებთან. მატერიალური რესურსი უნდა იძლეოდეს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას და უნდა იყოს ხელმისაწვდომი

სტუდენტებისთვის და აკადემიური/მოწვეული პერსონალისთვის. აუცილებელი მატერიალური რესურსი დგინდება განსახორციელებელი პროგრამების საჭიროებების შესაბამისად. შემოწმებას ექვემდებარება სასწავლო ფართი (აუდიტორიები, ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზი და სხვ.) და ინვენტარი, ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი (შევსება-განახლება, სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებულ ლიტერატურასთან შესაბამისობა), კომპიუტერული ტექნიკა და კომპიუტერული პროგრამები (არსებობა, გამართული მუშაობა, განახლების საჭიროება, ხელმისაწვდომობა სტუდენტებისთვის და აკადემიური/მოწვეული პერსონალისთვის და სხვ.), საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები (ინტერნეტი, შიდა ქსელი, სათანადო კომპიუტერული პროგრამებით აღჭურვა და სხვ.), ვებ-გვერდი (უნდა ასრულებდეს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას) და სხვ. შემოწმების შედეგების ანალიზი დასკვნის სახით ეცნობება კოლეჯის დირექტორს.

ადამიანური რესურსების შიდა შეფასებისას ხდება აკადემიური/მოწვეული პერსონალის მიერ სასწავლო პროცესის წარმართვის ხარისხის დადგენა შემდეგი კრიტერიუმების მეშვეობით:

- სასწავლო პროცესის გაძლიერების შესაბამისი კომპეტენცია;
- სასწავლო კურსის სილაბუსის შემუშავების უნარი;
- საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსებს შორის ლოგიკური კავშირისა და მათი შესწავლის თანმიმდევრობის გააზრება და ამის საფუძველზე სასწავლო კურსის შესწავლის წინაპირობების განსაზღვრა;
- სასწავლო კურსის კრედიტების ფარგლებში საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათების ოპტიმალური განაწილება;
- სასწავლო კურსის თემატურ საკითხებს შორის საკონტაქტო საათების რაციონალური განაწილება;
- სასწავლო კურსის მიზნების, შინაარსის და სწავლის შედეგების მიზეზ-შედეგობრივი კავშირის გაცნობიერება;
- სწავლებისა და შეფასების ადეკვატური მეთოდების შერჩევა;
- სასწავლო კურსის შინაარსის განსაზღვრა თანამედროვე კონცეფციებისა და ინფორმაციის გათვალისწინებით;
- სასწავლო კურსთან დაკავშირებულ სფეროში მიმდინარე ცვლილებების, სიახლეებისა და ტენდენციების ცოდნა და სტუდენტებისთვის მიწოდება;
- შესასწავლი მასალის გადაცემისა და სტუდენტებთან ეფექტური კომუნიკაციის უნარი;
- სტუდენტების ცოდნის და უნარების ობიექტური შეფასება;
- კონსულტაციების მეშვეობით სტუდენტებთან ინდივიდუალური მუშაობა.

რეაგირება - შიდა შეფასება მიმართულია ძლიერი მხარეების გამოსაკვეთად, სუსტი მხარეების და არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად და ტარდება სწავლის/სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის, გაუმჯობესების, განვითარებისა და დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. ხარვეზების და სტანდარტებთან შეუსაბამობის აღმოჩენის შემთხვევაში საჭირო ხდება სათანადო რეაგირება და აუცილებელი ღონისძიებების გატარება. ამ მიზნით მონიტორინგის, შემოწმება-შეფასების და გამოკითხვების ანალიზის საფუძველზე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური:

- ადგენს წარდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობას და ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს;
- ადგენს მატერიალურ-ტექნიკური რესურსების განახლება-სრულყოფასა და შეძენის საჭიროებას;
- ადგენს ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის შევსება-განახლებასა და სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებულ სავალდებულო ლიტერატურასთან შესაბამისობაში მოყვანის აუცილებლობას;
- გეგმავს და განსაზღვრავს ადმინისტრაციის საქმიანობაში შესატან ცვლილებებს სტუდენტთა ხელშეწყობის სერვისის უზრუნველყოფისა და ხარისხის ამაღლების მიზნით;
- ანალიზებს სასწავლო პროცესს და შედეგებს წარუდგენს კოლეჯის დირექტორს;
- შეიმუშავებს სათანადო რეკომენდაციებს და სამოქმედო გეგმას აღმოჩენილი ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით;
- მონიტორინგს უწევს სწავლის/სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად და არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად დაგეგმილი ღონისძიებების შესრულებას.

რეაგირებისა და გადაწყვეტილების მიღების თვალსაზრისით შეფასების ერთ-ერთ საკვანძო და მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენს მონიტორინგის შედეგების ანალიზი, რომლის ერთ-ერთი უმთავრესი კომპონენტია სასწავლო წლის დასრულების შემდეგ ჩატარებული ე.წ. SWOT-ანალიზი. SWOT-ანალიზი გულისხმობს შიდა გარემოს გამოკვლევას ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენის საფუძველზე შესაძლებლობების, საფრთხეების და რისკების განსაზღვრას გარე ფაქტორების ზემოქმედების შედეგად. კოლეჯის დირექტორის 2015 წლის 16 ნოემბრის N163 ბრძანებით შექმნილია მოდულური პროგრამების განხორციელების მინიტორინგის ჯგუფი, რომელიც პერიოდულად ახორციელებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობას და სრულყოფილებას დადგენილ მოთხოვნებთან, (მოიცავს თუ არა პროგრამა ყველა დადგენილ კომპონენტს). აღნიშნული კომისია აფასებს პროგრამის ეფექტურობას და ზეპირი გამოკითხვის ფარგლებშიც ამოწმებს სტუდენტებისგან, იძენენ თუ

არა იმ კომპეტენციას, რომლებიც პროგრამის სწავლის შედეგებშია განსაზღვრული. კომისიის მთავარი მისიაა, სასწავლო პროცესის შედეგების ანალიზის საფუძველზე დაადგინოს რამდენად ადეკვატურად მიმდინარეობს სწავლება, გამოავლინოს პრობლემები და დასახოს მათი აღმოფხვრის გზები.

SWOT ანალიზი

	ძლიერი მხარეები - Strengths	სუსტი მხარეები - Weaknesses
შიდა გარემო	<ul style="list-style-type: none"> • • • • 	<ul style="list-style-type: none"> • • • •
გარე ფაქტორები	შესაძლებლობები - Opportunities	საფრთხეები, რისკები - Threats
	<ul style="list-style-type: none"> • • • • 	<ul style="list-style-type: none"> • • • •

